ARDI
დაზღვევა

გენერალური ხელშეკრულება № MHL/16-093281
ავტოტრანსპორტის დაზღვევის შესახებ

№ MHL/16-093281/002

[ARDI GROUP Insurance Company Vehicle Insurance Special Conditions, Version 5.12]

ვაჟა-ფშაველას გამზ. 3
თბილისი, საქართველო

3, Vaja-Pshavela Avenue
Tbilisi, Georgia

T: 995 322 10 10 10
F: 995 322 51 65 16

i: www.ardi.ge
e: office@ardi.ge

მუხლი 1 | ზოგადი დებულებები

1.1 ეს ხელშეკრულება არეგულირებს დაზღვეულის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ერთი ან მეტი ავტომობილის დაზღვევასთან დაკავშირებით მზღვეველსა და დამზღვევს (დაზღვეულს, მოსარგებლეს) შორის წარმოშობილ ურთიერთობას და განსაზღვრავს დაზღვევის პირობებს.

1.2 ამ ხელშეკრულების შესაბამისად, დამზღვევის მიერ შედგენილი განაცხად-ანკეტის საფუძველზე, ყოველ ცალეკულ დაზღვეულ ავტომობილთან დაკავშირებით გაიცემა პოლისი, რომელიც ადასტურებს დაზღვევას და განსაზღვრავს მის პირობებს. პოლისი ცალ-ცალკე გაიცემა ყოველ ცალკეულ დაზღვეულ ა/მ-თან დაკავშირებით. სხვადასხვა ავტომობილთან დაკავშირებით დამზღვევის მოთხოვნის მიხედვით შეიძლება გაიცეს სხვადასხვა სადაზღვევო პაკეტის (პირობების) შესაბამისი პოლისი.

1.3 პოლისში აღინიშნება: (ა) დაზღვეული ა/მ-ის მონაცემები; (ბ) დაზღვეულის/მოსარგებლის ვინაობა; (გ) დაფარული (დაზღვეული) რისკები; (დ) სადაზღვევო თანხა (ლიმიტები ან/და ქველიმიტები); (ე) სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის პირობები; (ვ) უპირობო ფრანშიზის ოდენობა; (ზ) დაზღვევის ტერიტორია; (თ) დაზღვევის პერიოდი. პოლისის განმარტებისას გამოიყენება ამ ხელშეკრულების დებულებები.

1.4 მხარეთა შეთანხმება, მათ შორის, სადაზღვევო რისკის შეფასება და სადაზღვევო ტარიფის განსაზღვრა დამოკიდებულია დამზღვევის მიერ შევსებული განაცხად-ანკეტის მონაცემების სისწორესა და სისრულეზე. პოლისით განსაზღვრული დაზღვევა ძალაშია მხოლოდ დამზღვევის მიერ განაცხად-ანკეტაში აღნიშნული ავტომობილ(ებ)ისა და უ/მძღოლ(ებ)ის მიმართ, დაზღვევის პერიოდში და პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო რისკებისთვის.

1.5 დამზღვევი ცალ-ცალკე ავსებს განაცხად-ანკეტას ყოველ ცალკეულ დასაზღვევ ა/მ-თან დაკავშირებით.

მუხლი 2 | ტერმინთა განმარტება

2.1. **სადაზღვევო რისკი** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა, რის გამოც ხდება დაზღვევა. იგი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე: ა/მ-ის სახე, ღირებულება, დანიშნულება, უ/მძღოლის მონაცემები და დამზღვევის მიერ შევსებული განაცხად-ანკეტის სხვა მონაცემები. დაზღვევა ფარავს მხოლოდ იმ რისკებს, რომლებიც პოლისით დაზღვეულად განისაზღვრება.

2.2. **სადაზღვევო შემთხვევა** – სადაზღვევო რისკის შედეგად ფაქტობრივად დამდგარი ზიანი.

2.3. **ავტომობილი (ა/მ)** – დაზღვეულის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მსუბუქი ან მაღალი გამავლობის მსუბუქი მექანიკური ავტოსატრანსპორტო საშუალება.

2.4. **უფლებამოსილი მძღოლი (უ/მძღოლი)** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში მოცემული ა/მ-ის მართვის უფლების მქონე ფიზიკური პირი. თუ პოლისში სხვა რამ არაა აღნიშნული, უ/მძღოლის ვინაობა განისაზღვრება პოლისით, ხოლო მისი ასაკი უნდა იყოს:

ა) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში – სულ მცირე **21 წელი**; ან

ბ) პოლისის ძალაში შესვლის მომენტში – არა უმეტეს **65 წელი**.

2.5. **ზიანი** – ა/მ-ის დაზიანება/განადგურება ან/და კრიმინალური ქმედების შედეგად ა/მ-ის ფლობის დაკარგვა პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო რისკების სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად. დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ პირდაპირ ქონებრივ ზიანზე, რომელიც უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის შედეგია.

2.6. **სრული ზიანი** – შემთხვევა, როდესაც ა/მ გატაცებულია ან დაზიანებული ა/მ-ის აღდგენის ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების სულ მცირე **70 %**-ს შეადგენს.

2.7. **სადაზღვევო თანხა** – სადაზღვევო ანაზღაურ(ებ)ის მაქსიმალური ოდენობა, ანუ მზღვეველის ვალდებულების ლიმიტი:

ა) ავტომობილის დაზღვევა (CASCO) – ა/მ-ის საბაზრო ღირებულების 100 %. ამასთან, პროპორციული დაზღვევის შემთხვევაში ის შეიძლება იყოს ნაკლები (პროპორციული);

ბ) მესამე პირთა წინაშე ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL) – ამ რისკისთვის პოლისით განსაზღვრული ოდენობის თანხა. ამასთან, MTPL-ის სადაზღვევო თანხის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს თითო შემთხვევის ან/და თითო დაზარალებული მესამე პირის მიმართ სადაზღვევო თანხის ქველიმიტი;

გ) მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევის დაზღვევა (MA) – ამ რისკისთვის პოლისით განსაზღვრული ოდენობის თანხა. ამასთან, MA-ის სადაზღვევო თანხის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს თითო შემთხვევის ან/და თითო დაზარალებული პირის სადაზღვევო თანხის ქველიმიტი;

დ) საევაკუაციო მომსახურების დაზღვევა– შესაბამისი რისკისთვის პოლისით განსაზღვრული ოდენობის თანხები.

2.8. **სადაზღვევო ანაზღაურება** – თანხა, რაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისგან ეკუთვნის მოსარგებლეს, ანგარიშდება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ა/მ-ის საბაზრო ღირებულების მიხედვით, ფრანშიზისა და სხვა გამოსაქვითი თანხების გათვალისწინებით. ანაზღაურდება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევით დამდგარი ზიანი.

2.9. **ფრანშიზა** – ზიანის არანაზღაურებადი ნაწილი, რომლის ოდენობა განისაზღვრება პოლისით.

2.10. **პრემია** – დაზღვევის ღირებულება, რაც ანგარიშდება სადაზღვევო რისკ-ფაქტორთა გათვალისწინებით. პრემიის ოდენობა განისაზღვრება პოლისით.

2.11. **ავარია** – შსს-ს შესაბამისი ცნობით დადასტურებული, დაზღვეული ა/მ-ის: შეჯახება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე სხვა ა/მ-თან, ნივთთან, პირთან ან ცხოველთან; გადაბრუნება-გადატრიალება; სავალი გზიდან გადავარდნა.

2.12. **ქურდობა** – ფარული მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. ამასთან, ამ დაზღვევით არ იფარება ა/მ-ის ქურდობა მის გასაღებთან ერთად ან თაღლითობით.

2.13. **ფორს-მაჟორი** – საომარი/საბრძოლო მოქმედება, რევოლუცია, ამბოხება, მანიფესტაცია, გაფიცვა, ტერაქტი, დივერსია, საბოტაჟი, ტექნოგენური კატასტროფა. ფორს-მაჟორი ითვლება დაზღვეულ რისკად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეტანილია პოლისში (სადაზღვევო პაკეტში) შესაბამისი გაზრდილი პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

2.14. **მესამე პირის ბრალი** – ა/მ-ის ზიანი, გამოწვეული მესამე პირის ბრალით (ავარიის ან/და ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის გარდა).

2.15. **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი, შემდეგის გარდა: (ა) დამზღვევი, დაზღვეული, უ/მძღოლი ან მათი ახლო ნათესავი: მეუღლე, შვილი, მშობელი, და-ძმა, ბებია-პაპა, შვილიშვილი; (ბ) დაზღვეულ ა/მ-ში მყოფი მგზავრი.

მუხლი 3 | CASCO -ს სადაზღვევო რისკები. სტანდარტული გამონაკლისები

3.1. ავტომობილის დაზღვევის (CASCO) რისკები, უპირობო ფრანშიზისა და სადაზღვევო ტარიფის ოდენობები, დამზღვევის მიერ შერჩეული (განაცხად-ანკეტით მოთხოვილი) სადაზღვევო პაკეტისა და შესაბამის ა/მ-თან დაკავშირებით მზღვეველის მიერ გაცემული პოლისის მიხედვით, შეადგენს შემდეგს:

დაზღვევის პაკეტები: რისკები, ფრანშიზა, ტარიფები

სადაზღვევო პაკეტის სახე	სადაზღვევო რისკთა ჯგუფები	ფრანშიზა *		ტარიფი
		ზიანი	სრული ზიანი	
აბსოლუტი	ა/მ-ის დაზიანება უ/მძღოლის ბრალის გარეშე ავარიის შედეგად	0 $	0 %	5.90 %
	ა/მ-ის დაზიანება უ/მძღოლის ბრალით ავარიის შედეგად	0 $	0 %	
	ა/მ-ის დაზიანება ხანძრის/აფეთქების, საგნის დაცემის შედეგად ან მესამე პირის ბრალით	0 $	0 %	
	ა/მ-ის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა	0 $	0 %	
	ა/მ-ის დაზიანება სტიქიის შედეგად (სეტყვის ჩათვლით)	0 $	0 %	
	ა/მ-ის დაზიანება ფორს-მაჟორის შედეგად	0 $	0 %	

*შენიშვნა – გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში დაუდგენელი პირის მიერ დაზიანებისას ფიქსირებული ფრანშიზა 300 ლარი – ვრცელდება ყველა სადაზღვევო პაკეტზე

3.2. **დაზღვევის ტერიტორია**: მოიცავს საქართველოს (ოკუპირებულ ტერიტორიათა გარდა). ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, რაც აისახება ერთი მხრივ განაცხად-ანკეტაში, ხოლო მეორე მხრივ პოლისში, ცალკეული პოლისით ცალკეულ ა/მ-თან დაკავშირებით დაზღვევის ტერიტორია შეიძლება გაფართოვდეს.

3.3. **დაზღვევის პერიოდი**: დაზღვევა ძალაში შედის პოლისში აღნიშნული პერიოდის დაწყების თარიღის 24⁰⁰ სთ-ზე და იწურება მისი დამთავრების თარიღის 24⁰⁰ სთ-ზე

3.4. სადაზღვევო თანხისა და პრემიის ოდენობები განისაზღვრება შესაბამისი პოლისებით, დამზღვევის მიერ შედგენილი განაცხად-ანკეტ(ებ)ის საფუძველზე.

3.5. მზღვეველი ასევე ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მზღვეველთან შეთანხმებული საევაკუაციო მომსახურების ხარჯებს საქართველოს ფარგლებში (ოკუპირებულ ტერიტორიათა გარდა).

3.6. დაზღვევა არ ვრცელდება შემდეგზე:

ა) ა/მ-ის არასტანდარტულ მოდიფიკაცია-აღჭურვილობაზე, თუ ის მითითებული არ იყო განაცხად-ანკეტაში (მახასიათებლების, დანიშნულებისა და ღირებულების ჩვენებით);

ბ) ა/მ-ის შიგთავსის ცალკეული დაზიანება, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა.

მუხლი 4 | მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა (MTPL)

4.1. MTPL არის დაზღვეული ა/მ-ის მართვისას უ/მძღოლის ბრალით მომხდარი ავარიის შედეგად მესამე პირის ქონების ან ჯანმრთელობის დაზიანება, რაც მხოლოდ და პირდაპირ ამ ავარიის შედეგია.

4.2. MTPL-ის რისკი დაზღვეულია, თუ ეს მითითებულია პოლისში.

4.3. MTPL-ის რისკის დადგომის შემთხვევაში, თუ:

ა) დაზიანდა მესამე პირის ქონება, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ფაქტობრივი ზიანის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს MTPL-ის რისკის სადაზღვევო თანხისა (მისი ნაშთისა), შესაბამისი ა/მ-ის დაზღვევის პოლისისა და ამ ხელშეკრულების მიხედვით;

ბ) მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ფაქტობრივად გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯები, დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმით IV-100/ა და სალაროს ჩეკით, მაგრამ არა უმეტეს MTPL-ის რისკის სადაზღვევო თანხისა (მისი ნაშთისა), შესაბამისი ა/მ-ის დაზღვევის პოლისისა და ამ ხელშეკრულების მიხედვით.

4.4. თუ ერთი სადაზღვევო შემთხვევით ერთზე მეტი პირი დაზარალდა, ხოლო სადაზღვევო თანხა (ნაშთი) საკმარისი არაა, ამ პირთა შორის ანაზღაურება პროპორციულად ნაწილდება.

4.5. ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს დამდგარ ერთზე მეტ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას გათვალისწინებული იქნება, ერთი მხრივ, შესაბამისი სადაზღვევო თანხა (მისი ნაშთი), ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევათა ქრონოლოგიური რიგითობა.

მუხლი 5 | მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევის დაზღვევა (MA)

5.1. MA არის სადაზღვევო რისკის შედეგად დაზღვეულ ა/მ-ში მყოფი უ/მძღოლის ან/და მგზავრ(ებ)ის ჯანმრთელობის ზიანი ან გარდაცვალება.

5.2. MA-ის რისკი დაზღვეულია, თუ ეს მითითებულია პოლისში.

5.3. MA-ის რისკის დადგომის შემთხვევაში, თუ:

ა) მძღოლის/მგზავრის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ფაქტობრივად გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ხარჯები, რომელთა ოდენობა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმით IV-100/ა და სალაროს ჩეკით დასტურება, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი ა/მ-ის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული MA-ის სადაზღვევო თანხის ქველიმიტისა თითო პირთან მიმართებით;

ბ) მძღოლი/მგზავრი გარდაიცვალა, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გარდაცვალების მოწმობის საფუძველზე, შესაბამისი ა/მ-ის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული MA-ის სადაზღვევო თანხის ქველიმიტის 100 %-ის ოდენობით თითო პირთან მიმართებით. ამასთან, თუ ამ ქველიმიტიდან ამ პირთან მიმართებით მკურნალობის ხარჯები მანამდე ანაზღაურდა, მაშინ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ანაზღაურდება ქველიმიტის ნაშთი (მისი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6 | სტანდარტული გამონაკლისები

6.1. სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება და სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა შემთხვევა (ზარალი), თუ:

ა) შესაბამისი რისკი (შემთხვევა) პოლისით დაზღვეული არაა;

ბ) დადგა ა/მ-ის მართვისას არაუფლებამოსილი მძღოლის მიერ;

გ) დადგა ა/მ-ის ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ამ ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვისას;

დ) დადგა ა/მ-ის ტექ. გაუმართაობის/ცვეთის შედეგად, რაც უ/მძღოლისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო (მ.შ.: თოვლიანი/ყინულიანი ზედაპირის შეუსაბამო საბურავით მართვა);

ე) ძრავის ჰიდროდარტყმა (გარდა სტიქიის პირობებში, როდესაც სტიქია დაზღვეულია);

ვ) დადგა ა/მ-ის მზღვეველთან შეუთანხმებელი დანიშნულებით ან არანორმირებულად დატვირთული ექსპლუატაციის პირობებში: სასწრაფო დახმარება, ტაქსი, სასწავლო, სასპორტო, ექსტრემალური (რალი, ოფროუდი, დრიფტი/მკვეთრი დამუხრუჭება, გარდა ავარიის თავიდან აცილების მიზნით), ექსპერიმენტული, კომერციული მიზნები და ა.შ.;

ზ) დადგა ა/მ-ით ფეთქებადი/აალებადი ნივთიერების უსაფრთხოების წესის დარღვევით გადაზიდვის პირობებში;

თ) დადგა ა/მ-ის ტვირთის სახით გადაზიდვისას, დატვირთვა-გადმოტვირთვისას, მაბუქსირებლად გამოყენებისას;

ი) დაზიანდა ა/მ-ის ცალკეული შიდა ნაწილები/სისტემები ა/მ-ის სარემონტო (სადიაგნოსტიკო) მომსახურებისას სახელოსნოს (ხელოსნის) ბრალით;

კ) შემთხვევა მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან კონფლიქტის ზონაში;

ლ) განზრახ დაზიანება; ავარია უ/მძღოლის მიერ ნორმების შემდეგი ან მსგავსი უხეში დარღვევით: რკინიგზის გადასასვლელზე შემობრუნება ან გასვლა, როცა შლაგბაუმი დაკეტილია ან იკეტება; დგომა-გაჩერება რელსებზე, გვირაბში, ხიდზე ან ესტაკადაზე მოსახვევში (იძულებითი გაჩერების გარდა); მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა; გასწრება: (ა) უწყვეტი ხაზის გადაკვეთით გვირაბში ან ხიდზე, (ბ) გასწრებაზე გასული ავტომობილისა, (გ) გზიდან გადასვლით;

მ) მოხდა ა/მ-ის შიგთავსის, დისკის საფარის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;

ნ) მოხდა ა/მ-ის შიგთავსის, სავალი ნაწილ(ებ)ის, საბურავის, დისკის, დისკის საფარის დაზიანება ან/და დაკარგვა სავალი ზედაპირის გაუმართაობის/დაბინძურების შედეგად (მაგ.: ორმოში ჩავარდნა, საგანზე გადავლა და სხვ.), რომელსაც არ მოჰყოლია ავარია;

ო) შემთხვევა მოხდა პრემიის დავალიანების გამო დაზღვევის შეჩერების პერიოდში ან მისი გაუქმების შემდეგ.

6.2. MTPL-ის და MA-ის რისკების შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

ა) მედიკამენტი/მკურნალობა, თუ არ დასტურდება მისი საჭიროება (ექიმის დანიშნულება);

ბ) არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე პირისგან მიღებული მომსახურება;

გ) არატრადიციული მედიცინა; მასაჟი; კოსმეტიკური, პლასტიკური სამედიცინო მომსახურება;

დ) ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებები;

ე) სანატორიულ-საკურორტო, სარეაბილიტაციო მომსახურება;

ვ) დამხმარე მოწყობილობა (სათვალე, სმენის აპარატი და ა.შ.);

ზ) ფსიქოთერაპია;

თ) განსაკუთრებული პალატის (ლუქსი, ვიპ და ა.შ.) ღირებულება.

მუხლი 7 | სადაზღვევო შემთხვევის დადგომა. ზიანის შეფასება, კალკულაცია და ანაზღაურება

7.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევმა (დაზღვეულმა, უ/მძღოლმა) უნდა:

ა) **დაუყოვნებლივ** აცნობოს შსს-ს შესაბამის ორგანოს და მათ მისვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება (თუ ეს არ იწვევს ზიანის ოდენობის გაზრდას);

ბ) **პირველივე შესაძლებლობითანავე** შეატყობინოს მზღვეველს ცხელ ხაზზე: **(032) 210 10 10**, რათა მზღვეველს მიეცეს შესაძლებლობა ადგილზე დააფიქსიროს შემთხვევა/ზიანი და მოიპოვოს საჭირო ცნობები;

გ) მზღვეველს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ზიანის განაცხადი (ფორმა MHL/B2);
- ა/მ-ის სარეგისტრაციო მოწმობა;
- უ/მძღოლის მართვის და პირადობის მოწმობები;
- ავარიის, მესამე პირის ბრალით ა/მ-ის დაზიანების, ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შემთხვევაში: ცნობა შსს-დან;
- ხანძრის/აფეთქების, ფორს-მაჟორის ან სტიქიის რისკის შემთხვევაში: სახანძრო სამსახურის, საგზაო პოლიციის ან სხვა შესაბამისი ორგანოს ცნობა.

7.2. სადაზღვევო ანაზღაურების (ზიანის) ოდენობა ფასდება მზღვეველი მიერ მომსახურების (სავაჭრო) ობიექტებიდან შესაბამისი სამუშაოს (საქონლის) ფასების მოძიებისა და კალკულაციის შედგენის საფუძველზე. ამასთან, თუ:

ა) ა/მ-ის ასაკი შეკეთების მომენტისათვის **5 წელს არ აღემატება**, ა/მ ექვემდებარება შეკეთებას ავტოცენტრში;

ბ) ა/მ კეთდება მზღვეველის პროვაიდერ ავტოსახელოსნოში, შეკეთების პროცესსა და ხარისხს მზღვეველი აკონტროლებს.

7.3. ზიანი ფასდება ა/მ-ის (ნაწილის) საბაზრო ღირებულებით შეფასების მომენტისთვის. ცვეთის (ამორტიზაციის) ნორმა არ გამოიყენება.

7.4. სრული ზიანის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოსარგებლეს ჩაუნაცვლოს შესაბამისი ა/მ. ამასთან, მოსარგებლემ უნდა უზრუნველყოს დადასტურებული ზიანის ოდენობიდან გამოსაქვითი თანხების დამატება, მათი არსებობის შემთხვევაში.

7.5. დადასტურებული ზიანის ოდენობიდან იქვითება:

ა) ფრანშიზის ოდენობა – თუ პოლისით განსაზღვრულია ფრანშიზა;

ბ) პროპორციული დაზღვევის ნაწილი – თუ შეთანხმებულია ან გამოვლინდა, რომ დაზღვევა არასრულია, ანუ სადაზღვევო თანხა ა/მ-ის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებია;

გ) სრული ზიანის შემთხვევაში – გადაუხდელი (განვადებული) პრემიის ოდენობა;

დ) სრული ზიანის შემთხვევაში – რეალიზაციისთვის ვარგის ნარჩენთა ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, მზღვეველის თანხმობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და რეგისტრაციის საფუძველზე ა/მ-ის (ნარჩენების) მას გადაეცემა.

7.6. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების, სადაზღვევო შემთხვევისა და ზიანის ოდენობის დადასტურების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის აქტის (ფორმა MHL/B3) ორმხრივად ხელმოწერიდან **1 კვირის ვადაში**.

7.7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ შესაბამისი სადაზღვევო თანხა ანაზღაურებული ოდენობით მცირდება. პრემიის დამატებით დაიშვება მისი აღდგენა.

მუხლი 8 | დაზღვევის მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1. **მზღვეველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს დაათვალიეროს (შეაფასოს) დასაზღვევი (დაზღვეული) ა/მ ან/და დამზღვევს (დაზღვეულს, მძღოლს) მოთხოვოს დაზღვევასა ან/და ზიანის რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) იმონაწილეოს ზიანის გამომწვევი მიზეზების დადგენასა და ზიანის შეფასებაში, ასევე მოთხოვოს დამზღვევს (დაზღვეულს, მძღოლს) ამაში ხელშეწყობა;

გ) გაზარდოს პრემიის ოდენობა, თუ გაიზარდა სადაზღვევო რისკი;

დ) ა/მ-ის სრული დაზიანების (გატაცების) შემთხვევაში მოსარგებლეს ჩაუნაცვლოს სხვა ა/მ, რომელიც შეესაბამება დაზიანებულ (გატაცებულ) ა/მ-ს. ამასთან, მოსარგებლის ვალდებულებაა, უზრუნველყოს სადაზღვევო ანაზღაურებას გამოსაქვითი თანხების (ფრანშიზა, განვადებული პრემია, პროპორციული დაზღვევის ნაწილი) დამატება, მათი არსებობის შემთხვევაში;

ე) გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, ხოლო გაცემულის უკან დაბრუნება მოითხოვოს, თუ:

ე.ა) ადგილი აქვს სტანდარტულ გამონაკლისს;

ე.ბ) შემთხვევა დადგა პრემიის დავალიანების გამო დაზღვევის შეჩერების პერიოდში;

ე.გ) დამზღვევი (დაზღვეული, უ/მძღოლი) შემთხვევის შესწავლაში ხელს არ უწყობს (მ.შ.: ალკოტესტზე უარის თქმა);

ე.დ) დამზღვევი (დაზღვეული, უ/მძღოლი) არღვევს თავის ვალდებულებას;

ე.ე) მას ან შსს-ს არ ეცნობა, საპატიო მიზეზის გარეშე დაგვიანებით ან განზრახ არასწორი ინფორმაცია ეცნობა;

ე.ვ) ა/მ-ის გასხვისების თაობაზე მას არ ეცნობა დაუყოვნებლივ;

ე.ზ) ზარალი ანაზღაურდა უშუალოდ ზიანზე პასუხისმგებელი ან სხვა პირის მიერ;

ე.თ) ზარალი მასთან შეუთანხმებლად აღმოიფხვრა/შეკეთდა ან დაუსაბუთებელია;

ე.ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ვ) თუ ა/მ-ის საბაზრო ღირებულება სადაზღვევო თანხაზე ნაკლებია, იანგარიშოს ზიანი საბაზრო ღირებულების მიხედვით;

ზ) დაზღვეული ა/მ-ის მესამე პირის (მოვალე) ბრალით დაზიანების შემთხვევაში რეგრესის წესით მიიღოს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება;

თ) შეაჩეროს ზიანის განაცხადის განხილვა, თუ შემთხვევას/ზიანს შესაბამისი ორგანო იკვლევს, იძიებს ან აფასებს.

8.2. **დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია:**

ა) გაეცნოს დაზღვევის პირობებს და მზღვეველისგან მიიღოს დამატებითი კონსულტაცია-განმარტებები დაზღვევასთან დაკავშირებით;

ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისაგან მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

8.3. **მზღვეველი ვალდებულია:**

ა) გასცეს დამზღვევზე პოლისი;

ბ) დამზღვევს, მოთხოვნისამებრ, მისცეს განმარტებები დაზღვევასთან დაკავშირებით;

გ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;

დ) გააკონტროლოს დაზიანებული ა/მ-ის ავტოსახელოსნოს (ავტოხელოსნის) ნამუშევრის ხარისხი, თუ ა/მ-ის შეკეთება ხდება მზღვეველის პროვაიდერ ავტოსახელოსნოში;

ე) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები.

8.4. **დამზღვევი (დაზღვეული, მძღოლი) ვალდებულია:**

ა) მზღვეველს დაზღვევამდე მიაწოდოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია, ხოლო მიწოდებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს;

ბ) დროულად და სრულად გადაიხადოს პრემია;

გ) მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ან/და ზიანის (გაზრდის) თავიდან ასაცილებლად;

დ) ხელი შეუწყოს მზღვეველს რეგრესული მოთხოვნის რეალიზაციაში;

ე) თუ ნაპოვნია ა/მ (ნაწილი), რომლის გატაცებასთან დაკავშირებით გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, მზღვეველის არჩევით – დააბრუნოს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურება (გატაცების პერიოდში ა/მ-ისათვის მიყენებული ზიანის გამოკლებით) ან ის მზღვეველს საკუთრებაში გადასცეს.

მუხლი 9 | დაზღვევის საფასურის (პრემიის) გადახდის წესი

9.1 პრემიის გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ყოველი ცალკეული პოლისით.

9.2. პრემია გადაიხდება შესაბამისი პოლისის მიხედვით.

9.3. დამზღვევის მოთხოვნით, ანგარიშსწორების მიზნით, მას მიეწოდება ინვოისები.

9.4 დამზღვევი მზღვეველს პრემიას უხდის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

9.5. დამზღვევის მიერ პრემიის (ხოლო განვადებისას – მისი ვადამოსული შენატანის) ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ჩერდება, ვიდრე არ მოხდება დავალიანების დაფარვა.

9.6. მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის მიერ გადახდილი საპრემიო თანხები მიაკუთვნოს პოლისებს დავალიანების წარმოშობის ქრონოლოგიური რიგითობით.

9.7. თუ პოლისი ვადამდე უქმდება, ხოლო დამზღვევს წინსწრებით აქვს გადხდილი პრემია, მზღვეველი დაუბრუნებს მას გამოუმუშავებელი პრემის 95%-ს.

მუხლი 10 | მოთხოვნის დათმობა (რეგრესის უფლება)

10.1. მესამე პირის (მოვალე) ბრალით დაზღვეული ა/მ-ის დაზიანების შემთხვევაში მზღვეველზე გადადის მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით და უფლება აქვს, თავისი სახელით და ინტერესების შესაბამისად, მიმართოს მესამე პირს (მოვალეს), ასევე ისარგებლოს იმ უფლებებით, რომლებიც გააჩნდა დაზღვეულს (მოსარგებლეს), როგორც დაზარალებულს (მ.შ., მიმართოს შესაბამის ორგანოებს, საექსპერტო დაწესებულებებს და ა.შ.).

10.2. თუ 10.1 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ოდენობა სრულად არ ფარავს ზიანს, ამ ნაწილში დაზღვეულს (მოსარგებლეს) უნარჩუნდება მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება.

მუხლი 11 | ხელშეკრულების (დაზღვევის) მოქმედების ვადა

11.1. ეს ხელშეკრულება მოქმედებს: **03 - 08 - 2016-დან 02 - 08 - 2017-ის ჩათვლით.**

11.2. თუ ამ ვადის გასვლამდე სულ მცირე 1 თვით ადრე არცერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს, რომ შეწყდეს ამ ხელშეკრულების მოქმედება, მაშინ ეს ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად ვადაგაგრძელებულად მომდევნო 1 წლის ვადით. იგივე წესი იმოქმედებს ამგვარად გაგრძელებული ვადის ამოწურვის შემდეგ შემთხვევებშიც.

11.3. ცალკეული ა/მ-ის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრება მასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გაცემული პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის პერიოდის მიხედვით. პოლისით განსაზღვრული დაზღვევის პერიოდი ძალაშია იმის მიუხედავად, ამოიწურა თუ არა ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ ან ვითარებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

11.4. ამ ხელშეკრულების მოქმედების თუ ცალკეული ა/მ-ის დაზღვევის (პოლისის) დაზღვევის პერიოდის ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ბ) მხარის ინიციატივა, თუ მეორე მხარე არღვევს და, მოშლის შესახებ გაფრთხილების მიცემის მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას;

ბ) მზღვეველის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება ან ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

11.5. მხარეს, რომლის ვალდებულების შეუსრულებლობა არაა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის მიზეზი, შეიძლება წარმოეშვას მეორე მხარისგან მიუღებელი ვალდებულების შესრულებისა ან/და შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

მუხლი 12 | დასკვნითი დებულებები

12.1. მხარეთა შორის დავა წყდება მოლაპარაკებით. თუ შეთანხმება ვერ მიიღწა, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით.

12.2. ამ ხელშეკრულებასთან ერთად ინახება დამზღვევის მიერ შედგენილი ერთი ან მეტი განაცხად-ანკეტა, რომელიც საფუძვლად უდევს სადაზღვევო რისკის შეფასებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე გაიცემა პოლის(ებ)ი.

12.3. მზღვეველის მიერ დამზღვევს (დაზღვეულს, უ/მძღოლს) შეტყობინება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS), ელექტრონული ფოსტის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით, განაცხად-ანკეტაში ან/და ზიანის განაცხადში მითითებულ რეკვიზიტებზე დაყრდნობით მიეწოდება. ამასთან, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ განაცხად-ანკეტის რეკვიზიტი არასწორია ან შეიცვალა და მზღვეველს არ ეცნობა, რის გამოც შეტყობინება ვერ ან არადანიშნულებისამებრ განხორციელდა.

12.4. სხვა საკითხები, რომლებიც განსაზღვრული არაა ამ პირობებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.5. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, ცალი თითო მხარისთვის.

არდი

მზღვეველის მხრიდან		დამზღვევის მხრიდან	
საფირმო სახელი:	სს არდი დაზღვევა	საფირმო სახელი:	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
საიდ. კოდი:	404858631	საიდ. კოდი:	404945164
იურ. მისამართი:	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3	იურ. მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ქავთარაძის ქ., №21ა
ფაქტ. მისამართი:	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3	ფაქტ. მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ქავთარაძის ქ., №21ა
ტელ.:	(+955 32) 2 10 10 10	ტელ.:	230 03 29
ფაქსი:	(+955 32) 2 51 85 14	ფაქსი:	
ელ.ფოსტა:	office@ardi.ge	ელ.ფოსტა:	mhpa@mhpa.ge
მომსახურე ბანკი:	სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	მომსახურე ბანკი:	სს თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი:	UGEBGE22	ბანკის კოდი:	TBCBGE22
ანგარიშის ნომერი:	GE66VT6600000808033608	ანგარიშის ნომერი:	GE48TB7810436020100003
ხელმოწერა:		ხელმოწერა:	
სახელი, გვარი:	მაია ქამუშაძე	სახელი, გვარი:	ლაშა კილაძე
თანამდებობა:	მომსახურებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი	თანამდებობა:	გენერალური დირექტორი
თარიღი:	08 - 08 - 2016	თარიღი:	08 - 08 - 2016

ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისი

№ MHL/16-093281-002

გაცემის თარიღი:	08/08/2016			სადაზღვევო პაკეტი:	აბსოლუტი

მზღვეველი	სახელი:	სს არდი დაზღვევა		სკ:	404858631
	მისამართი:	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3		ტელ.:	2 10 10 10
დამზღვევი:	სახელი:	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი		სკ / პნ:	404945164
	მისამართი:	თბილისი, ქავთარაძის ქ., №21ა		ტელ.:	230 03 29
დაზღვეული/მოსარგებლე:	სახელი:	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი		სკ / პნ:	404945164
	მისამართი:	თბილისი, ქავთარაძის ქ., №21ა		ტელ.:	230 03 29
დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება:	მარკა/მოდელი:	Hyundai / I 10		VIN:	MALAM51CACM993280
	სახ.№:	ZZ132ZZ	გამ. წელი: 2011	ფერი	რუხი 1/8
	საბაზრო ღირებულება	8700.00	GEL	სადაზღვევო თანხა	8700.00 GEL

	სადაზღვევო რისკები და პირობები	დაზღვევის სტატუსი	ფრანშიზა: ზიანი (GEL)	ფრანშიზა: სრული ზიანი (%)
	ავტომობილის დაზღვევა (CASCO)			
1	ავტომობილის დაზიანება უ/მძღოლის ბრალის გარეშე ავარიის შედეგად	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
2	ავტომობილის დაზიანება უ/მძღოლის ბრალით ავარიის შედეგად	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
3	ავტომობილის დაზიანება ხანძრის/აფეთქების ან საგნის დაგების შედეგად ან მესამე პირის ბრალით	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
	გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება		300.00 GEL	0.00 %
4	ავტომობილის ჭურდობა, ძარცვა, ყაჩაღება	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
5	ავტომობილის დაზიანება სტიქიის შედეგად (სეტყვის ჩათვლით)	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
6	ავტომობილის დაზიანება ფორს-მაჟორის შედეგად	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
	CASCO-ს სპეციალური სადაზღვევო დაფარვები (თუ დაზღვეულია სადაზღვევო პაკეტის მიხედვით):			
	ავტომობილის დაზიანება უფლებამოსილი მძღოლის გაუფრთხილებლობით შემდეგ პირობებში:	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
	► მუქრიმნის წმიელი მუქის დაუმორჩილებლობა ან გზაჯვარედინზე პრიორიტეტულობის დაუცველობა			
	► დამეკბელზე მეტი სიჩქარის განვითარება			
	► არასწორი პარკირება			
	► უნებლიეტი ხაზის გადაკვეთა			

	სადაზღვევო რისკთა დამატებითი ჯგუფები:		ლიმიტები: ოდენობა	ლიმიტები: ჯერადობა
7	სავალალეაციო მომსახურება:	სადაზღვევო შემთხვევისას სადაზღვევო ტერიტორიის ფარგლებში	1000.00 GEL	ულიმიტო
8	სოს-ასისტანსი:	საწვავის მიწოდების, სატრანსპორტო საშუალების, ა/მ-ის დაჭედვის მომსახურების ხარჯები (თბილისში და მის მიმდებარედ 25 კმ-ის რადიუსით), თუ გამოძახებულია მზღვეველის პროვაიდერი სავალალეაციო სამსახური		
9	სამედიცინო ჯარიმა:	უ/მძღოლის ბრალით სადაზღვევო შემთხვევა ადმინისტრაციული ჯარიმის ანაზღაურება	-	-
10	ტაქსის მომსახურების ხარჯი:	სადაზღვევო შემთხვევისას მზღვეველის პროვაიდერი ტაქსის მომსახურება (გამოძახება: იხელი ხაზით: 210 10 10); (1)სადაზღვევო ანაზღაურების მიღებამდე; ან (2) თუ ა/მ მეკეთდება მზღვეველის პროვაიდერ ა/სახელოსნო მი... ა/მ-ის მეკეთებამდე.	-	-

	დაკავშირებული სადაზღვევო რისკები	სადაზღვევო თანხა	ვალუტა	დაზღვეულთა რაოდენობა	ერთი პირის ქვალიმიტი			
11	მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობა (MTPL)	10000.00	GEL	ულიმიტო	ულიმიტო	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %
12	მძღოლის/მგზავრს უბედური მემთხვევა (MA)	10000.00	GEL	5	2000.00	დაზღვეული	0.00 GEL	0.00 %

სადაზღვევო ტერიტორია:

საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა)

დაზღვევის პერიოდი:

365	დღე	08/08/2016	-დან	07/08/2017	-ის ჩათვლით

უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ი

ნებისმიერი პირი, ვისაც გააჩნია მართვის უფლება (ქსაკი: არანაკლებ 21 წელი, არა უმეტეს 65 წელი. იხ. გენ.ხელშეკრულების 3.2.4)

სადაზღვევო პრემია:	641.80							
		ლარი						
								12
პრემიის გადახდის გრაფიკი:	53.48	20/09/2016	53.48	20/12/2016	53.48	20/03/2017	53.48	20/06/2017
	53.48	20/10/2016	53.48	20/01/2017	53.48	20/04/2017	53.48	20/07/2017
	53.48	20/11/2016	53.48	20/02/2017	53.48	20/05/2017	53.52	20/08/2017

პოლისის გაცემის საფუძველი:	დამზღვევის მიერ შედგენილი განაცხადი-ანკეტა	№	MHL/16-093281-002	თარიღი	08/08/2016
	ავტოტრანსპორტის დაზღვევის გენ. ხელშეკრულება	№	MHL/16-093281	თარიღი	07/06/2016

ხელმოწერები

მე, დამზღვევი, ვადასტურებ, რომ ამ პოლისის/ფასდაკლების ფურცლის ჩვენ მიერ განაცხადი-ანკეტაში შეტანილ მონაცემებს, და ვადასტურებ, რომ ისინი სრულ და სწორია.

მზღვეველის მხრიდან:	დამზღვევის მხრიდან:

ROYAL ARDI INSURANCE

CENTER FOR MENTAL HEALTH AND PREVENTION OF ADDICTIONS 404945164 GEORGIA

როცა ფიქრობ მხოლოდ კარგზე

JUST THINK OF BEST